

შსს : " მოუწოდებთ ყველას , დაიცვან კანონის მოთხოვნები "



შსს ფიქმის „და ჩვენ ვიცავთ“ ჩვენებასა და დაგეგმიდ აქციებთან დაკავშირებით მორიგ განცხადებას ავრცელებს.

განცხადებაში ნათქვამია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი ამოცანაა ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვა, განურჩევლად ადამიანის სქესის, რელიგიური კუთვნილების, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, პოლიტიკური შეხედულების ან სხვა ნიშნისა.

შსს კიდევ ერთხელ მოუწოდებს ყველას, დაიცვან კანონის მოთხოვნები, წინააღმდეგ შემთხვევაში, პოლიცია სამართადარღვევის თითოეულ ფაქტს დაუყოვნებლივ აღკვეთს.

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო წარმოადგენს საზოგადოების უსაფრთხოებასა და მართლწესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელ უწყებას, რომლისთვისაც პრიორიტეტურია ქვეყანაში უსაფრთხო და ტოლერანტური გარემოს შექმნა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი ამოცანაა ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვა, განურჩევლად ადამიანის სქესის, რელიგიური კუთვნილების, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, პოლიტიკური შეხედულების ან სხვა ნიშნისა. შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკა სიძუდილის მოტივით დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ არის მკაცრი და სამართლიანი, რაც, უპირველეს ყოვლისა, ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრასა და

ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფრებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფის მიზანს ემსახურება.

სიძულებით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების ეფექტიანობის გაზრდის პარაღვერუად, სამინისტროსთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია გამომხატვის თავისუფლების უზრუნველყოფა. გავრცელებული ინფორმაციით, 2019 წლის 8, 9 და 10 ნოემბერს თბილისსა და ბათუმში მდებარე რამდენიმე კინოთეატრში მხატვრული ფილმის პრემიერა იმართება.

ასევე, საზოგადოების გარკვეული ჯგუფების მხრიდან კეთდება განცხადებები კინოჩვენების ხერხემშედელი ღონისძიებების შესახებ. შინაგან საქმეთა სამინისტრო უზრუნველყოფს როგორც საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვას, ასევე, თითოეული ადამიანის გამომხატვის თავისუფლებას, რომელიც არ სცდება კანონით დასაშვებ ფარგლებს. კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ ყველას, დაიცვან კანონის მოთხოვნები. წინააღმდეგ შემთხვევაში, პოლიცია იმოქმედებს საკუთარი მანდატის ფარგლებში და სამართალდარღვევის თითოეული ფაქტი დაუყოვნებლივ იქნება აღკვეთილი“, – აღნიშნულია შსს-ს განცხადებაში.